

გაკვეთილი 1

საქართველოს საგადასახადო  
კოდექსი

ზოგადი დებულებები

# კარი 1

## ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის რეგულირების სფერო.

ეს კოდექსი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, აწესრიგებს საქართველოს საბაჟო საზღვარზე მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის, გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, განსაზღვრავს საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებს, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისთვის პასუხისმგებლობას, უფლებამოსილი ორგანოსა და მისი თანამდებობი პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასახადო დავის გადაწყვეტის წესს, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს.

1. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.

2. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას (30.03.2001, 826) აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

საგადასახადო კანონი არეგულირებს ქვეყანაში არსებულ გადასახადების ფორმირებას, ამასთან საგადასახადო კანონმა მოიცვა საბაჟო კანონმდებლობა და ამდენად საგადასახადო კანონი საქართველოს საზღვარზე მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას არეგულირებს.

კანონი განსაზღვრავს საგადასახადო ორგანოსა და გადასახადის გადამხდელის ურთიერთობებს. ეს ურთიერთობები საგადასახადო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარეობს.

საგადასახადო კანონი აწესებს პასუხისმგებლობას გადასახადის გადამხდელის მიერ სამართალდარღვევისთვის.

### მუხლი 2 - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა

1. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კოდექსის და მათ შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისგან.

2. გადასახადებით დაბეგვრისთვის გამოიყენება საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღისათვის მოქმედი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა.

3. საქართველოს მთავრობა, საქართველოს ფინანსთა მინისტრი ამ კოდექსის აღსრულების მიზნით იღებს/გამოსცემს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

საგადასახადო კანონმდებლობა ქვეყნის კონსტიტუციური ნორმებიდან გამომდინარეობს, საქართველოს კონსტიტუცია ქვეყნის უზენაესი კანონია და მოქმედი კანონმდებლობა მისი ძირითადი ნორმებიდან გამომდინარეობს. საგადასახადო კანონის შემადგენელ ნაწილად უნდა ჩაითვალოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომელთაც საქართველო მიერთებულია და შესაბამისად რატიფიცირებულია ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მიერ.

საგადასახადო კოდექსის ძირითად შემადგენელ ნაწილად უნდა ჩაითვალოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს ფინანსთა მინისტრი ამ კოდექსის აღსრულების მიზნით იღებს და გამოსცემს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

თავად საგადასახადო კანონი უპირატეს ძალას ანიჭებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რამეთუ საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ და ძალაში შესულ საერთაშორისო ხელშეკრულებებით თუ დადგენილია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილისგან განსხვავებული დაბეგვრასთან დაკავშირებული ნორმები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები.

### მუხლი 3 - ვადების განსაზღვრა

1. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვადა განისაზღვრება კონკრეტული თარიღით ან დროის მონაკვეთით, რომელიც გამოიანგარიშება წლებით, კვარტალებით, თვეებით ან დღეებით ანდა იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს.

2. ამ კოდექსით დადგენილი ვადის ათვლა იწყება შესაბამისი მოქმედების განხორციელების მომდევნო დღიდან. ამ კოდექსის მიზნებისთვის, დღე შეიძლება იყოს სამუშაო ან კალენდარული. თუ არ არის მითითებული, დღე არის კალენდარული დღე. ამასთანავე, ამ კოდექსის მიზნებისათვის, თუ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სამუშაო დღე ემთხვევა კალენდარულ დღეს, გარდა შაბათსა, კვირისა და საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე დღეებისა.

3. კალენდარული წელი არის დროის მონაკვეთი ერთი წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო ახლად რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელისთვის - პირველ წელს რეგისტრაციის თარიღიდან იმავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. წელი (გარდა კალენდარული წლისა) არის დროის მონაკვეთი, რომელიც შედგება ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვისაგან.

5. კალენდარული წელი მოიცავს ოთხ კვარტალს:

- ა) 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით - I კვარტალი;
- ბ) 1 აპრილიდან 30 ივნისის ჩათვლით - II კვარტალი;
- გ) 1 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით - III კვარტალი;
- დ) 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით - IV კვარტალი.

კოდექსის მოცემული მუხლის განმარტებისთვის ყურადღება უნდა გავამახვილოთ შრომის კანონის თანახმად განმარტებულ უქმე დღეებზე.

1. უქმე დღეებია:

ა) 1 და 2 იანვარი - ახალი წლის სადღესასწაულო დღეები;

ბ) 7 იანვარი - უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე;

გ) 19 იანვარი - ნათლისღება - უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გაცხადების დღე;

დ) 3 მარტი - დედის დღე;

ე) 8 მარტი - ქალთა საერთაშორისო დღე;

ვ) 9 აპრილი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე;

ზ) სააღვომო დღეები - დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე; მიცვალებულთა მოხსენიების დღე - აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი (თარიღები გარდამავალია);

თ) 9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღე;

ი) 12 მაისი - საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის - წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე;

კ) 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;

ლ) 28 აგვისტო - ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა);

მ) 14 ოქტომბერი - მცხეთობის ( სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის დღე) ;

ნ) 23 ნოემბერი - გიორგობის დღე.

დასაქმებული უფლებამოსილია ამ კანონით დადგენილი უქმე დღეების ნაცვლად მოითხოვოს სხვა დასვენების დღეები, რაც უნდა განისაზღვროს შრომითი ხელშეკრულებით.

ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უქმე დღეებში დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება მიიჩნევა ზეგანაკვეთურ სამუშაოდ და მისი ანაზღაურების პირობები განისაზღვრება დადგენილი წესით.

#### მუხლი 4. ხანდაზმულობის ვადა.

1. გადასახადის გადამხდელისთვის გადასახადის თანხის დარიცხვისა და საგადასახადო ვალდებულებების შესახებ საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადაა 6 წელი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადა აითვლება შესაბამისი საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის კალენდარული წლის დასრულებიდან.

3. გადასახადის გადამხდელისთვის ამ კოდექსით გათვალისწინებული სანქციის (გარდა საურავისა) დაკისრებისა და შესაბამისი საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადაა 6 წელი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7. გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები გრძელდება 1 წლით, თუ ამ ვადების გასვლამდე დარჩენილია 1 წელზე ნაკლები და გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო ორგანოში წარადგინა შესაბამისი პერიოდის საგადასახადო დეკლარაცია (მათ შორის, შესწორებული დეკლარაცია) ან გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა.

8. საგადასახადო ორგანოსათვის გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადაა 6 წელი, რომელიც აითვლება გადასახადის ან/და სანქციის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების უფლების წარმოშობის კალენდარული წლის დასრულებიდან.

10. ამ მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა ჩერდება:

ა) პირის გადახდისუნარიობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე სასამართლო გადაწყვეტილების, აგრეთვე გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების, რეაბილიტაციი შესახებ გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან შესაბამისი რეჟიმის დასრულებამდე;

ბ) „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით, პირის საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციის შესახებ;

გ) საგადასახადო დავის პერიოდში.

11. საგადასახადო ორგანოს მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისას ამ მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები არ გამოიყენება.

საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საწარმოებისა და ორგანიზაციების ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებების ან/და სახელმწიფო სესხების დაუბრუნებლობის შედეგად წარმოქმნილი დავალიანებების რესტრუქტურიზაციის, ასევე სასესხო დავალიანების უიმედო სესხად აღიარებისა და ჩამოწერის, პატიების, მესამე პირისთვის გადაკისრების, დაფარვის მოთხოვნის უფლების სხვა იურიდიული პირისათვის გარკვეული დისკონტით დათმობის შესახებ წინადადებების წარდგენის, განხილვის, მათ შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების წესებს აღნიშნული საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და გადახდისუნარიანობის ამაღლების მიზნით.

რესტრუქტურიზებულ ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებას გაყინვის პერიოდში პროცენტები და საჯარიმო სანქციები არ ერიცხება.

გადავადების პერიოდი რესტრუქტურიზებულ ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებას გადაუხდელ თანხაზე ყოველთვიურად ერიცხება სარგებელი 0,5 პროცენტის ოდენობით.

## **მუხლი 6 - გადასახადის ცნება და სახეები.**

1. გადასახადი არის ამ კოდექსის მიხედვით სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გამომხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

2. გადასახადის სახეებია საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები.

3. საერთო - სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები რომელთა გადახდაც სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

4. ადგილობრივი გადასახადია ამ კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით შემოღებული გადასახადი (ზღვრული განაკვეთების ფარგლებში) , რომლის გადახდაც სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.

5. საერთო - სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება:

ა) საშემოსავლო გადასახადი;

ბ) მოგების გადასახადი;

დ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);

ე) აქციზი;

ვ) იმპორტის გადასახადი.

6. ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება ქონების გადასახადი.

## **მუხლი 7 - ადგილობრივი გადასახადების დაწესება, შემოღება, მისი გადახდის პირობების შეცვლა და გადასახადის გაუქმება**

1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო თავის კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია შემოიღოს მხოლოდ ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამ კოდექსით დადგენილი ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ზღვრული განაკვეთების ფარგლებში.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო ვალდებულია ადგილობრივი გადასახადი შემოღების, მისი გადახადის პირობების შეცვლის ან შემოღებული ადგილობრივი გადასახადის გაუქმების შესახებ ინფორმაცია და სათანადო ნორმატიული აქტის ასლი მისი გამოქვეყნებისთანავე გაუგზავნოს შემოსავლების სამსახურსა და შესაბამის საგადასახადო ორგანოებს.

---

---